სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64831611390220

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200982545

რეგისტრაციის თარიღი

02.12.2020 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის ორ დეკემბერს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზირი 47-ში, მომმართა დავით ერისთავმა. მან განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს „რელუქსი"-ს (ს/კ **402038237**) დირექტორს და წარმომიდგინა უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B18190091, 06/11/2018 16:56:44**. მან მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ვალერი მიმინოშვილს (დაბადებული 07.08.1977; პ/ნ 01015001043). მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ წამდვილად დავით ერისთავმა (დაბ.18.10.1980წ. თბილისში, პ/ნ 01031004480, პ/მ 13IF07279, რეგისტრ. მისამართზე: თბილისი, გაბრიელ ისაკაძის ქუჩა, N 12, ბინა 10) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე შევადგინე ტექსტი, რომელიც წაიკითხა მან და დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულება: გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული №507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლის თანახმად 10.00 ლარი + **საგადასახადო კოდექსის 169 მუხლის თანახმად დღგ 1.80 ლარი** + 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი.

რწმუნებულება/მინდობილობა

შპს **„რელუქსი"-ს** (ს/კ **402038237**) დირექტორმა **დავით ერისთავმა**, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი"**ვალერი მიმინოშვილს**, შემდეგში მოხსენიებული, როგორც „რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1.იყოს ჩემი, როგორც კომპანიის დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში და კერძო დაწესებულებაში, მათ შორის სანოტარო ბიუროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში, შემოსავლების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტში, მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, საკადასტრო, ზედამხედველობის, მუნიციპალურ სამსახურებში, სარეკონსტრუქციო, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით უძრავ ქონებაზე მდებარე თბილისში, ს. მესხის ქ.15, ს/კ 01.15.05.082.005.01.513; მოახდინოს აღნიშნული უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია, კორექტირება, ფართის ცვლილება, დაზუსტება, გაერთიანება, ლეგალიზება, გამიჯვნა, დაკანონება, დარეგისტრირება; დაადგინოს იურიდიული ფაქტი; დაესწროს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას; შეათანხმოს, წარადგინოს, დაამტკიცოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, მიიღოს ნებართვები, შეიტანოს კორექტირება პროექტში, დაამტკიცოს კორექტირებული პროექტები, ჩემი სახელით წარადგინოს განცხადებები, ჩააბაროს და მიიღოს დოკუმენტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს მიიღოს ნახაზები, შეიტანოს კორექტირება მონაცემებში, გასცეს და ხელი მოაწეროს თანხმობებს, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2.მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.

3. რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ,,მარწმუნებელს". დანართი ამომაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია